## საინტერესო წიგნი

აკაკი გელოვანის სამწერლო და მთარგმნელობითი მოღვაწეობის მაღალი დონე და მასშტაბი დიდი ხანია ცნობილია როგორც ჩვენს მწერლობაში, ისე მკითხველთა ფართო მასებში. მის მიერ დიდი გემოვნებით შერჩეული, თარგმნილი და მხატვრულ გ შესავალი წერილებით დამშვენებული წიგნები რომ შევკრიბოთ, მთელი ტომები გამოვა. ჩვენი მწერლის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ არა მარტო ჩვენში,ა რამედ საზღვარგარეთაც. საზღვარგარეთის გაზეთებსა და ჟურნალებში იბეჭდება რეცენზიები მის თარგმანებსა და ორიგინალურ მოღვაწეობაზე. გერმანელი მწერალი ქალი როზემარია მუდერი გერმანულ გაზეთ "ნოიე ცაიტში" წერდა:" აკაკი გელოვანმა ჯერ კიდევ წერილებით მიიპყრო ჩემი ყურადღება, მეტად საყურადღებოა მისი იუმორი და აზრთა სიღრმე. ქართველი მწერალი წერს კლასიკურ გერმანულ ენაზე, გოეთესეულ ენაზე".

ახლახან გამომცემლობა "ხელოვნებამ" გამოსცა აკაკი გელოვანის წიგნი "მარად ცოცხალი ხელოვნება". მაგრამ ეს სულაც არაა წინა გამოცემის განმეორება. ავტორმა წიგნი საფუძვლიანად გადაამუშავა და შევსებული, ორმაგი და მეტად სრული სახით მიაწოდა მკითხველს. წიგნი გამოსვლისთანავე ლამის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, თუმცა ტირაჟი სოლიდურია-40000.

რით აიხსნება ამ წიგნის ასეთი პოპულარობა, რომ ყველას სურს ჰქონდეს ის თავის ბიბლიოთეკაში? ჯერ ერთი, ხელოვნების კორიფეების ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი გაზრდილმა, ცხოველმა ინტერესმა, შემდეგ წიგნის ბრწყინვალე გაფორმებამ, ტიტულიდან და შავ-თეთრი ილუსტრაციებიდან დაწყებული, ფერადი ილუსტრაციების ჩათვლით, რომელთა ოდენობა ორას ოცს აღემატება, წიგნის წარმატება განაპირობა უდავოდ იმანაც , რომ დაწერილია მაღალ პროფესიულ დონეზე, ხატოვანი ენით, მრავალფეროვნად, დიდი ცოდნითა და გემოვნებით, მხატვრული სიტყვის ოსტატური მოშველიებით. თუნდაც მხოლოდ წინა თავები, ქართული, ბერძნული, შუმერული, ეგვიპტური ხელოვნების მიმოხილვები რომ წავიკითხოთ, ვიგრძნობთ წიგნის სერიოზულ, ეროვნულ, ზოგად კაცობრიული ცივილიზაციის დიდი სიყვარულით გამსჭვალულ სიტყვის ძალას. მკითხველი იძენს დიდ ცოდნას და წააწყდება უამრავ ისეთ დეტალს, რაც სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან არსად წაუკითხავს ან ასე განზოგადოებით არ უნახავს.

ზოგს ალბათ უკვირს, მხატვრებზე რატომ მხატვრები არ წერენ. იმიტომ რომ მხატვრები ხატავენ. იშვიათად რომელიმე მხატვარს დაუწერია წიგნი მხატვრებზე/ვაზარის და ორიოდე გამონაკლისის გარდა/. სამაგიეროდ მხატვრებზე მთელი ტომები უწერიათ მწერლებს, ფრაგმენტებისა თუ ცალკე წიგნების სახით. საკმარისია დავასახელოთ გოეთე, ჰაინე, პუშკინი, დიდრო, ჟუკოვსკი, ტურგენევი, ილია.... სტენდალი/"იტალიის ხელოვნების ისტორია"/, რომენ როლანი/" მიქელანჯელო"/, ალ. ალტაევა/ წიგნები რაფაელზე, ლეონარდოზე, მიქელანჯელოზე/, როზემარი შუდერი/"მიჯაჭვული ტიტანი"/, რენატე კრიუგერი /"კრანახი", რომანი/ და მრავალი სხვა. ლიტერატურა და ხელოვნება ერთი სამყაროა მშვენიერებისა და ხელოვნების ბუმბერაზებზე წიგნების შექმნაც ისეთივე საჭირო, სასახელო, ეროვნული და საქვეყნო საქმეა, როგორც რომანებისა და მოთხრობების შექმნა.

ამ საპატიო ასპარეზზე აკ. გელოვანის თავდადებული, მრავალმხრივი მუშაობის დაუფასებლობა უმადურობა იქნებოდა. ცნობილია მისი სტატიების მთელი სერია ისტორიულ ძეგლებზე, ქართულ ხელოვნებაზე, მარად ცოცხალ ხელოვნებაზე "კომუნისტში", "სოფლის ცხოვრებაში", "თბილისში", "სახალხო განათლებაში", "სკოლა და ცხოვრებაში", "საბჭოთა ხელოვნებაში", სადაც წლების განმავლობაში მისი ათობით სტატია გამოქვეყნდა და სხვა. მაგრამ ცალკე სოლიდურ წიგნად შეკრული და მდიდრულად ილუსტრირებული, მხატვართა/განსაკუთრებით მიქელანჯელოს/ ლექსების ჩინებული თარგმანებით შევსებული და ვრცელი საძიებლით აღჭურვილი წიგნის გამოცემა, თანაც მეორედ და ბევრად უფრო სრულყოფილად გამოცემა მისასალმებელი მოვლენაა და ამ მძიმე ჯაფას ჯეროვნად აფასებს კიდეც მკითხველი. დიდი ტირაჟით გამოცემული "მარად ცოცხალი ხელოვნება" გამოცემის დღეებშივე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად, მას დაეძებენ კითხულობენ, იმდიდრებენ ცოდნას ხელოვნების ეგზომ მნიშვნელოვან დარგში. ჩვენ არც ვრცელ რეცენზიას ვწერთ,- წიგნი თავისთავად მეტყველებს დიდ და კეთილსინდისიერ შრომაზე,- არც ის ცალკეული უზუსტობანი თუ სადავო დეტალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაინტერესებს, რომლებიც ალბათ გაიპარებოდა წიგნში. ვიტყვით მხოლოდ, რომ პირადად ჩვენზე წიგნმა ყოველმხრივ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და მისი გამოცემით "ხელოვნებამ" კიდევ ერთი დიდად საჭირო საქმე გააკეთა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ წიგნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში შედგა თათბირ-სემინარი, რომელზედაც აღინიშნა:" მისასალმებელია [illegible] "ხელოვნების" მიერ აკაკი გელოვანის "მარად ცოცხალი ხელოვნების" მაღალი გემოვნებით გამოცემა. ეს პირველი ცდაა მკითხველს მივაწოდოთ პოპულარული ენით დაწერილი წიგნი მსოფლიო ხელოვნების ოსტატებსა და მათს შედევრებზე. იგი დაბეჭდილია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, შესანიშნავია ფერადი ილუსტრაციების ხარისხი". ამ თათბირს ესწრებოდა რსფსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, მხატვარი ვ. ბროცკი, რომელმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ აკაკი გელოვანის წიგნი უსათუოდ ინტერესს აღძრავს და მას დიდი ინტერესით წაიკითხავენ.

უდავოა, რომ აკაკი გელოვანის ახალი წიგნი ქართველი მკითხველისათვის დიდი საჩუქარია, იგი ხელს შეუწყობს ქართველი და უცხოეთის ხალხებს შორის მეგობრული, კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

სერგო თურნავა

საფრანგეთის არტურ რემბოს კულტურის ცენტრისა და კანადის საზოგადოება "ფრანგული მწერლობა" -მსოფლიოში წევრ-კორესპონდენტი